ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
სადოქტორო პროგრამა: ისტორია
კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	**მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი**
პროგრამის დასახელება	**ისტორია** **History**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	**ისტორიის დოქტორი** **PhD in History**
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა	3-5 წელი (6-10 სემესტრი), 42 კრედიტი
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავდა 2011 წელს და განახლდა 2021 წელს. პროგრამის განახლება შესაძლებელია ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე, პროგრამისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
პროგრამის ხელმძღვანელი	ბეჟან ჯავახია, პროფესორი მანანა ჯავახიშვილი, ასოცირებული პროფესორი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი შემდეგ მიმართულებებში: **განათლება** - მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით (0114); **ჰუმანიტარული მეცნიერებები:** რელიგია და თეოლოგია (0221); ისტორია და არქეოლოგია (0222); ფილოსოფია და ეთიკა (0223); ინტერდისციპლინური – მოიცავს ხელოვნებასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს (0288) ან **სოციალური მეცნიერებები:** პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები (0312), სოციოლოგია და კულტურის კვლევები (0314), სოციალური და ქცევითი მეცნიერებები – არაკლასიფიცირებული (0319), საბიბლიოთეკო, საარქივო კვლევები და ინფორმაციის მართვა (0322), ინტერდისციპლინური – მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას (0388); სამართალი (0421); მოგზაურობა, ტურიზმის, დასვენება (1015); ეკონომიკა (0311);
- ზემოთ ჩამოთვლილ სფეროებში კანდიდატის მიერ შესრულებული წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და მის მიერ სამეცნიერო - კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის ან/და მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- წარმატებით ჩაბარებული შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ ენაში, ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე დადასტურების მიზნით ან ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო/შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატი (მინიმუმ B2 დონის შესაბამისი) ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი*;
- სადოქტორო კვლევითი განაცხადი;
- ზეპირი გამოცდა.

* უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომის აღიარება უნდა იყოს დადასტურებული სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე მიღების პირობების, ვადების, წარსადგენი დოკუმენტების და შეფასების კრიტერიუმების შესახებ მოცემულია დოკუმენტში „სადოქტორო პროგრამაზე მიღების

პროცედურების და შეფასების სისტემა“. მიღების შესახებ ინფორმაცია განთავსდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.iliauni.edu.ge.
ინფორმაცია დოქტორანტების ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესების შესახებ იხ. ქვემოთ, სადოქტორო პროგრამის დახასიათებაში/კონცეფციაში, ხოლო სადოქტორო კვლევის განხორციელებისთვის მხარდაჭერისა და წახალისების მექანიზმების შესახებ - სწავლისათვის აუცილებელ დამხმარე პირობებში/რესურსებში.

სადოქტორო პროგრამის დახასიათება/კონცეფცია

ისტორიის სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია ისტორიულ მეცნიერებაში თანამედროვე სტანდარტებით სამეცნიერო კვლევის განხორციელებასა და ახალი ცოდნის შექმნაზე, როგორც კონკრეტული დისციპლინის პერსპექტივიდან, ისე ინტერდისციპლინულ ჭრილში. ეს კი გულისხმობს ისტორიის ტრადიციული კვლევის გამოცდილების უახლესი სამეცნიერო თეორიებით, მიდგომებითა და მეთოდოლოგიით გამდიდრებას, თანამედროვე კვლევების ინტერდისციპლინური კონტექსტის გათვალისწინებას სადოქტორო ნაშრომების შექმნისას. ისტორიის მიმართულებით ასეთი პროგრამის შექმნა გადაუდებელი ამოცანაა, ვინაიდან აუცილებელია ქართული ისტორიული ცოდნისა და კვლევის ტრადიციის გადააზრება, შემდგომი გაღრმავება უახლესი და საერთაშორისო კვლევითი სტანდარტების შესაბამისად. საჭიროა, შეიქმნას მკვლევართა ახალი თაობა, რომელიც შეძლებს, უპასუხოს მსოფლიო ისტორიოგრაფიის დღევანდელ მიღწევებსა და გამოწვევებს ისტორიული მეცნიერების სხვადასხვა სფეროების, პერიოდებისა თუ ცივილიზაციების შესწავლისას.

რამდენადაც საქართველო დასავლური და აღმოსავლური კულტურების გზაჯვარედინზე მდებარეობს, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია კომპარატივისტული კვლევების განხორციელება სხვადასხვა საზოგადოების მახასიათებლების შედარების კონტექსტში, ასევე იდენტობისა და მეხსიერების კვლევების ჭრილში.

პროგრამა ფარავს ისეთ პერიოდებს, როგორც არის ძველი ისტორია, შუა საუკუნეების ისტორია, ახალი ისტორია და თანამედროვე ისტორია. აღნიშნული პერიოდები თავისთავად მოიცავს როგორც გარკვეული სოციალური, პოლიტიკური და კულტურული არეალებისა და ცივილიზაციების, ასევე მათში შემავალი ცალკეული ქვეყნების ისტორიას. ასევე, კვლევის სფეროები მოიცავს: გლობალურ ისტორიას, ისტორიოგრაფია-წყაროთმცოდნეობას, პროსოპოგრაფიას, სოციალურ ისტორიასა და ისტორიულ ანთროპოლოგიას, მიკროისტორიას, გენდერულ ისტორიას, მეცნიერების ისტორიას, ინტელექტუალურ ისტორიას, ეკონომიკურ ისტორიას, პოლიტიკურ ისტორიას, სამხედრო ისტორიას.

ისტორიის სადოქტორო პროგრამა ქმნის პლატფორმას იმისთვის, რომ გაფართოვდეს ისტორიის კვლევის როგორც რეგიონული, ასევე საერთაშორისო საზღვრები. საერთაშორისო უნივერსიტეტებთან და მეცნიერებთან თანამშრომლობით ის ქმნის კვლევის მაღალხარისხიან გარემოს ისტორიის კვლევებში საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების, კვალიფიციური ხელმძღვანელობის, თანმიმდევრული და შედეგზე ორიენტირებული კვლევითი პროცესების და კვლევით საჭიროებებზე მორგებული სასწავლო კომპონენტების ერთობლიობით.

საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საერთაშორისო უნივერსიტეტების გამოცდილების გათვალისწინებით (კოლუმბიის უნივერსიტეტი, სორბონის უნივერსიტეტი, კემბრიჯის უნივერსიტეტი, გოტინგენის უნივერსიტეტი, პოლ ვალერის მონპელიე 3 უნივერსიტეტი).

პროგრამა მხარდაჭერილია საერთაშორისო ექსპერტთა საბჭოს არსებობით, რომელიც უზრუნველყოფს:

- პროგრამაში ჩართული დოქტორანტების ხელმძღვანელობას/თანახელმძღვანელობას;
- ერთობლივი კვლევითი პროექტების განვითარებას;
- კვლევითი უნარების განვითარებას სხვადასხვა სემინარებით და კურსებით;
- დოქტორანტების ხელშეწყობას სამეცნიერო ნაშრომების მომზადებასა და გამოქვეყნებაში საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალებისთვის;
- სადოქტორო კურიკულუმის განვითარებას საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ასევე საჭიროების შემთხვევაში გარე რეფერირებას;
- ქართველი მეცნიერების და დოქტორანტების ჩართვას მსოფლიო სამეცნიერო ქსელში.

ექსპერტთა საბჭოს წევრები არიან:

1. ვერნერ სეიბტი - ვენის უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზანტიოლოგი

2. ჟერარ დედეიანი - პოლ ვალერის მონპელიე 3 უნივერისტეტის ემერიტუსი პროფესორი
3. ჰიროტაკე მაედაა - ტოკიოს მეტროპოლიტენის უნივერსიტეტის პროფესორი
4. ალექსანდრე მიქაბერიძე - ლუიზიანას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
5. თამარ პატარიძე - ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ცენტრის მკვლევარი
6. იზაბელ ოჟე - პოლ ვალერის მონპელიე 3 უნივერისტეტის პროფესორი
7. მარიანა შევალიე - პოლ ვალერის მონპელიე 3 უნივერისტეტის პროფესორი
8. ჟაკ პავიო - პარიზის პარი-ესტ კრეტეის უნივერსიტეტის პროფესორი

პროგრამა მჭიდროდ თანამშრომლობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ საერთაშორისო სადოქტორო სკოლასთან, იყენებს მის მიერ შექმნილ ყველა რესურსს, მათ შორის - დოქტორანტს აძლევს უცხოელი ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ყოლისა და ორმაგი ხარისხის მოპოვების შესაძლებლობას კოტუტელის ფორმატის ფარგლებში.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დოქტორანტების ხელმძღვანელების კვლევის პროფილები იხილეთ ბმულზე: https://shorturl.at/EpjR6

პროგრამის მიზნები

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის სადოქტორო პროგრამის მიზანია, მოამზადოს კრიტიკული რეფლექსიის მქონე მკვლევრები, რომლებიც შეძლებენ:

- ეპოქებისა და კონტექსტების გათვალისწინებით, განსხვავებული ისტორიული მიდგომების ჩამოყალიბებისა და ინტერპრეტირების საშუალებით, თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინოვაციური კვლევების განხორციელებასა და ახალი ცოდნის შექმნას ისტორიის ერთ-ერთ ქვედარგში ან ინტერდისციპლინურ ჭრილში;
- ისტორიის კვლევის როგორც რეგიონული, ასევე საერთაშორისო საზღვრების გაფართოებაში წვლილის შეტანას კვლევის შედეგების ვალიდაციით საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციის ფარგლებში;
- ცოდნის ტრანსფერს აუდიტორიაში.

სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს აქვს/შეუძლია:

1. საკვლევ სფეროსთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/ფაქტების შესახებ კრიტიკული ანალიზი და უახლეს კვლევებზე დამყარებული ცოდნა;
2. ისტორიული და/ან ისტორიოგრაფიული პრობლემების გადაჭრა ისტორიული მოვლენებისა და ტენდენციების სხვადასხვა პერსპექტივიდან (მაგ. სოციალური, ეკონომიკური, ანთროპოლოგიური, პოლიტიკური, კულტურული და სხვა) ინტერპრეტაციის/ანალიზის გზითა და ისტორიული კვლევის მეთოდების გამოყენებით;
3. ორიგინალური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება პირველადი წყაროების გამოყენებით და მეორადი წყაროების ვალიდობის, კონტექსტისა და ობიექტურობის შეფასებით, დარგობრივი ან ინტერდისციპლინური თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენებით;
4. ახალი ცოდნის გაზიარება კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალების გამოყენებითა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, რაც მოიცავს ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში მონაწილეობასა და კვლევის შედეგების საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში ასახვას;
5. ცოდნის ტრანსფერი საუდიტორიო სწავლების პროცესში სწავლების თანამედროვე მეთოდების, გამოცდილებისა და მიდგომების გამოყენებით.

სწავლების მეთოდები

ისტორიის კვლევის სპეციფიკური მოთხოვნებიდან და ამოცანათა მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლის და სწავლების მეთოდებისა და შესაბამისი აქტივობების მრავალფეროვანი სპექტრი.

- ლექცია;
- სემინარი;
- სუპერვიზია;

- პრაქტიკული მუშაობა;
- ელექტრონული სწავლების ელემენტები;
- დემონსტრირება/პრეზენტაცია;
- დისკუსია/დებატები;
- ანალიზი და სინთეზი;
- შემთხვევის ანალიზი და სხვა.

შენიშვნა: პროგრამის თითოეულ კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები მოცემულია შესაბამის სილაბუსებში/კონცეფციის დოკუმენტებში.

პროგრამის სტრუქტურა

სწავლის განმავლობაში დოქტორანტმა უნდა დააგროვოს 42 კრედიტი (მათ შორის, სავალდებულო - 30 კრედიტი და არჩევითი - 12 კრედიტი), გამოაქვეყნოს 2 სტატია, რომელთაგან მინიმუმ ერთი, უნდა იყოს გამოქვეყნებული საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში (სტატიებთან დაკავშირებული მოთხოვნები იხ. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში) და დაიცვას სადოქტორო ნაშრომი. პროგრამის სტრუქტურა მოცემულია ცხრილის სახით.

ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, პროგრამა სთავაზობს დოქტორანტებს სხვადასხვა ტრენინგს, რომელიც ადმინისტრირებულია პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ. საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, პროგრამაზე სწავლის პერიოდში, დოქტორანტებმა უნდა აირჩიონ მინიმუმ 2 ტრენინგი. დოქტორანტებს ტრენინგი გავლილად ჩაეთვლებათ, თუ ისინი დააკმაყოფილებენ არჩეული კომპონენტის ყველა მოთხოვნას.

კომპონენტები	**სემესტრები**										**ECTS**
	1	**2**	**3**	**4**	**5**	**6**	**7**	**8**	**9**	**10**	
სავალდებულო კურსები/ კომპონენტი - 30 კრედიტი											
ისტორიის კვლევა, თეორიული მიდგომები და მეთოდები											**12**
ასისტირება*											**12**
Writing for Academic Publication**											**6**
სადოქტორო კოლოკვიუმები											**-**
პროსპექტუსი											**-**
სადოქტორო ნაშრომი***											**-**
არჩევითი კომპონენტები - 12 კრედიტი											
პროსოპოგრაფია, როგორც კვლევის მეთოდი											**12**
კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში											**6**
Caucasian Studies as Area Studies – (Re-) Assessing the Production of Scientific Knowledge and its Spatial Conditions											**6**
სადოქტორო საფეხურის სხვა რელევანტური კურსი											**6**
Methods of Fieldwork											**6**
ტრანსფერული უნარების განმავითარებელი კომპონენტები											
კვლევითი კეთილსინდისიერება და ეთიკა											-
და/ან											
სწავლა-სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდები, სწავლებაში თანამედროვე მეთოდების გამოყენება											-

გრანტების მოძიება და ადმინისტრირება, პროექტების მართვა, პროექტების დაგეგმვა და განხორციელება											-
ტრენინგი: საპროექტო წინადადების მომზადება											-
სტუდენტთა აქტიურობის შეფასების პრინციპები და ინსტრუმენტები											-
აქტიური სწავლება ამობრუნებულ გაკვეთილზე											-
ორგანიზაციული მართვისა და ლიდერობის ტრენინგი											-
ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში											-
სწავლების ეფექტიანობის გაზრდა თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიების გამოყენებით											-
სადოქტორო პროგრამისთვის რელევანტური სხვა ტრენინგ კურსი											-
											სულ 42

**სწავლების ასისტირების წინაპირობაა „პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის (PPDC)" ტრენინგი/კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში. კვლევითი ასისტირების წინაპირობაა პროსპექტუსის დაცვა;*

***დოქტორანტს დაცული უნდა ჰქონდეს პროსპექტუსი; შეგროვებული უნდა ჰქონდეს მონაცემები და მუშაობდეს პუბლიკაციაზე.*

****სადოქტორო ნაშრომის წარდგინება დაცვისთვის შესაძლებელია მხოლოდ სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კომპონენტის, მათ შორის, კოლოკვიუმების შესრულებისა და პუბლიკაციის ან პუბლიკაციაზე თანხმობის წარდგენის შემდეგ.*

სადოქტორო კოლოკვიუმების სერია იწყება სწავლების მეორე სემესტრიდან. მისი მიზანია, უზრუნველყოს დოქტორანტების კვლევითი პროცესის სისტემატიზაცია და შედეგზე ორიენტირებულობა, დოქტორანტისთვის მის პროგრესთან დაკავშირებით განმავითარებელი უკუკავშირის მიწოდების გზით. სადოქტორო კოლოკვიუმი ხელს უწყობს სტუდენტს, წარმართოს კვლევა კვლევის გეგმის მიხედვით, მოახდინოს პერიოდული რეფლექსია და ანგარიშგება კვლევის შედეგებთან დაკავშირებით და სხვა; მომიჯნავე დარგების დოქტორანტებთან ერთად ჩაერთოს სამეცნიერო დისკუსიაში; პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისგან, მათ შორის, კვლევის ხელმძვანელისგან მიიღოს კონსტრუქციული უკუკავშირი კვლევის გაუმჯობესების მიზნით. კოლოკვიუმის სესიებში, საჭიროების შემთხვევაში, ჩაერთვებიან ორგანიზაციები, რომლებიც დაინტერესებულები არიან კვლევის შედეგებით (დეტალური ინფორმაცია კოლოკვიუმის შესახებ იხ. კოლოკვიუმის კონცეფციაში).
დოქტორანტი კვლევის შედეგებს წარადგენს წელიწადში მინიმუმ ერთხელ.

პროსპექტუსის მომზადების განმავლობაში დოქტორანტები:

- განსაზღვრავენ საკვლევ საკითხს/პრობლემას სადისერტაციო კვლევისთვის;
- აკეთებენ რელევანტური ლიტერატურის მიმოხილვას, რომელიც მოიცავს შერჩეული საკითხის/პრობლემის შესახებ კვლევებზე დაფუძნებული უახლესი ცოდნის, გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგიების, მიდგომების და კონცეფციების ანალიზს/სინთეზს და შეფასებას;
- ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე განსაზღვრავენ ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას და აყალიბებენ კვლევის მიზანს, საკვლევ კითხვას/ებს (საჭიროების შემთხვევაში ჰიპოთეზას) და კვლევის მეთოდოლოგიას;
- ადგენენ ბიბლიოგრაფიას და კვლევის გეგმას.

დასრულებულ პროსპექტუსს დოქტორანტი იცავს სადოქტორო კოლოკვიუმის ფარგლებში დარგობრივი კომისიის წინაშე სწავლების პირველი წლის ბოლოს.

ასისტირება არის სადოქტორო პროგრამის ის კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის ჩართულობას სწავლებასა და კვლევასთან დაკავშირებულ აკადემიურ პროცესებში. პროგრამით გათვალისწინებულია სწავლების და კვლევის ასისტირება (იხ. ასისტირების კონცეფცია). სწავლების პროცესში ასისტირების შემთხვევაში დოქტორანტი აკადემიური კურსის პროფესორს უწევს ასისტირებას, დამოუკიდებლად ახორციელებს აკადემიური კურსის კომპონენტს ან/და ატარებს სალექციო/სასემინარო კურსს. კვლევითი ასისტირების პროცესში დოქტორანტს შეიძლება მიეცეს შესაძლებლობა, ჩაერთოს უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევით პროცესებში და ამ მიზნით განახორციელოს ისეთი აქტივობები, როგორც არის ლიტერატურის მოძიება, კვლევის ახალი მეთოდების შემუშავებაში მონაწილეობა, შედეგების შეგროვება და ანალიზი, საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა, რეცენზირება და ა.შ.

დისერტაციის დაცვამდე დოქტორანტს შესაბამის სფეროში გამოქვეყნებული (ან ჟურნალის რედაქციისგან მიღებული გამოსაქვეყნებლად) უნდა ჰქონდეს არა ნაკლებ **ორი სამეცნიერო სტატიისა,** მათ შორის მინიმუმ ერთი სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს საერთაშორისო რეფერირებად თემატურ ჟურნალში/ჟურნალებში, რომლებიც აღიარებულ საერთაშორისო ნუსხებშია შესული (Clarivate Analytics (ყოფილი Thomson Reuters) Master Journal List, Scopus, Ulrich's Index, ERIH PLUS, EBSCOHost, Latindex Catalogue). სამეცნიერო პუბლიკაციაში დოქტორანტის აფილიაციაში მითითებული უნდა იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელი. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული პუბლიკაციისადმი მოთხოვნები იხ. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში.

სადოქტორო კვლევა ხორციელდება აკადემიური და კვლევის კეთილსინდისიერების და ეთიკის ნორმების დაცვით. ამის გათვალისწინებით დოქტორანტმა უნდა გაიაროს პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ შემოთავაზებული ტრენინგი ,,კვლევითი კეთილსინდისიერება და ეთიკა''.

სადოქტორო პროგრამა სრულდება **სადოქტორო ნაშრომის** წარდგენით და მისი საჯარო დაცვით. სადოქტორო ნაშრომის დაცვა ხდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული სადისერტაციო საბჭოს წინაშე. სადოქტორო ნაშრომის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია სადოქტორო ნაშრომის კონცეფციის დოკუმენტში (იხ. სადოქტორო ნაშრომის კონცეფცია).

დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებულებს დასაქმება შეეძლებათ შესაბამისი პროფილის როგორც აკადემიურ, ასევე საჯარო და კერძო დაწესებულებებში:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- შესაბამისი პროფილის კვლევითი ინსტიტუტები და ცენტრები;
- არასამთავრობო ფონდები და ორგანიზაციები;
- შესაბამისი პროფილის საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევითი პროექტები;
- მუზეუმები და საგამომცემლო დაწესებულებები;
- არქივი, ბიბლიოთეკა;
- მედია (ტელე, რადიო, ციფრული).

შეფასების წესი

სასწავლო კომპონენტების შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და ისაზღვრება ამგვარად:
(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი -მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
(FX) ვერ ჩააბარა- მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა- მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სადოქტორო ნაშრომი ფასდება შემდეგი სისტემით:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

„ა“–„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.
„ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადოქტორო ნაშრომის წარდგენის უფლება.
„ზ“ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადოქტორო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ელექტრონული რესურსები (მათ შორის სამეცნიერო ელექტრონული ბაზები - ScienceDirect, Scopus, PsycInfo, Heinonline, Thomson Reuters, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Cambridge Journals, DOAJ, ebrary, Oxford Journals და სხვა);
- ილიას უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი;
- ილიას უნივერსიტეტის კავკასიის კვლევის საერთაშორისო სკოლა;
- ილიას უნივერსიტეტის შუა საუკუნეების კვლევების ცენტრი;
- ილიას უნივერსიტეტის ვიზუალური ანთროპოლოგიისა და ლოკალური ისტორიის კვლევების ლაბორატორია;
- ილიას უნივერსიტეტის მეხსიერების კვლევების კავკასიური ცენტრი;
- ილიას უნივერსიტეტის სოციალური და კულტურის კვლევების ინსტიტუტი;
- ილიას უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტი: საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსის, საქართველოს პროსოპოგრაფიის სამეცნიერო ბაზები;
- ილიას უნივერსიტეტის სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი;
- სააუდიტორო/სამუშაო სივრცეები;
- საქართველოს ეროვნული არქივი;
- ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა;
- საქართველოს ეროვნული მუზეუმი;
- შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი;
- გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი;
- გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი;
- ა(ა)იპ საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია;
- ა(ა)იპ „კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი - კავკასიური სახლი“;
- უნივერსიტეტის მულტიმედია ბიბლიოთეკა;
- არგუსი, Elearning და Turnitin-ის სისტემები;
- საერთაშორისო სადოქტორო სკოლა;
- კვლევების კოორდინაციის სამსახური;
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისა და საერთაშორისო ჟურნალებში სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების დაფინანსების შესაძლებლობა.

პროგრამის სემესტრული გეგმა						
კომპონენტის დასახელება	წინაპირობა	ლექტორი	საკონტაქტო საათების განაწილება	კრედიტი	სემესტრი	
					შემ/გაზ	
სავალდებულო კურსები/კომპონენტები (30 კრედიტი)						
ასისტირება	„პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის (PPDC)“ ტრენინგი	ხელმძღვანელი/ები, მომიჯნავე დარგის/დისციპლინის პროფესორი, რომელიც ჩართულია სადოქტორო პროგრამაში	ინდ.	12		**x**
ისტორიის კვლევა, თეორიული მიდგომები და მეთოდები	-	ბ. ჯავახია მ. ჯავახიშვილი მ. თორია ლ. ხომერიკი	62	12	**x**	
Writing for Academic Publication	-	მ. როგავა	30	6	**x**	**x**
სადოქტორო კოლოკვიუმები		დოქტორანტის ხელმძღვანელი/ები	-	-	**x**	**x**
პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებული მინიმუმ 2 ტრენინგ კურსი		ტრენინგ კურსის შესაბამისი ტუტორი	-	-	**x**	**x**
პროსპექტუსი			-	-		**x**
სადოქტორო ნაშრომი			-	-	**x**	**x**
არჩევითი კომპონენტები (12 კრედიტი)						
პროსოპოგრაფია, როგორც კვლევის მეთოდი	-	ოლივერ რაისნერი	64	12	**x**	**x**
Caucasian Studies as Area Studies – (Re-) Assessing the Production of Scientific Knowledge and its Spatial Conditions	-	ოლივერ რაისნერი	32	6	**x**	**x**
Methods of Fieldwork	-	ფლორიან მიულფრიდი	16	6	**x**	**x**
სადოქტორო საფეხურის სხვა რელევანტური კურსი	-		ინდ.	6	**x**	**x**
კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების	-	სოფიკო ლობჟანიძე	32	6		**x**

სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში						

ისტორიის სადოქტორო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი			
	სახელი და გვარი	*სტატუსი*	*ელექტრონული ფოსტა*
1	ბეჟან ჯავახია	პროფესორი	bezhan.javakhia@iliauni.edu.ge
2	გიორგი ანჩაბაძე	პროფესორ-ემერიტუსი	giorgi_anchabadze@iliauni.edu.ge
3	პაატა ბუხრაშვილი	პროფესორი	paata@iliauni.edu.ge
4	მანანა ჯავახიშვილი	ასოცირებული პროფესორი	manana.javakhishvili@iliauni.edu.ge
5	მალხაზ თორია	ასოცირებული პროფესორი	malkhaz_toria@iliauni.edu.ge
6	გიორგი სანიკიძე	პროფესორი	giorgi.sanikidze@iliauni.edu.ge
7	თეიმურაზ ჯოჯუა	ასოცირებული პროფესორი	teimuraz.jojua@iliauni.edu.ge
8	ადრიან ბრისკუ	ასოცირებული პროფესორი	adrian.brisku@iliauni.edu.ge
9	ეკა ჭყოიძე	ასოცირებული პროფესორი	eka_tchkoidze@iliauni.edu.ge
10	ლაშა ბაქრაძე	ასოცირებული პროფესორი	lasha.bakradze@iliauni.edu.ge
11	ტილმან ფლორიან კულკე	ასისტენტ პროფესორი	tilmann.kulke@iliauni.edu.ge
12	გრიგოლ ჯოხაძე	ასოცირებული პროფესორი	grigol_jokhadze@iliauni.edu.ge
13	მაია როგავა	პროფესორი	maia.rogava@iliauni.edu.ge
14	სოფიკო ლობჟანიძე	პროფესორი	sopiko_lobjanidze@iliauni.edu.ge
15	ლელა ხომერიკი	მოწვეული პროფესორი	lela_khomeriki@iliauni.edu.ge
16	ბექა კობახიძე	ასოცირებული პროფესორი	beka.kobakhidze@iliauni.edu.ge
17	დავით მალაზონია	პროფესორი	davit_malazonia@iliauni.edu.ge
18	სტივენ ფრენსის ჯონსი	პროფესორი	stephen.jones@iliauni.edu.ge
19	დავით დარჩიაშვილი	პროფესორი	david_darchiashvili@iliauni.edu.ge
20	ოლივერ რაისნერი	პროფესორი	oliver.reisner@iliauni.edu.ge

21	ტიმოთი კევინ ბლაუველტი	პროფესორი	timothy.blauvelt@iliauni.edu.ge